ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №140837

ნომერი: AR142794

თარიღი : 22.04.2012

გაცემის თარიღი : 27.04.2012

გაცნობის თარიღი : 28.04.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თ. აბულაძე , N 32 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევანი ჯანხოთელი პ/ნ 01012004065
- თბილისი ვარკეთილის მას. IV მ/რ II რიგი კორ. 1 ბ. 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, თ. აბულაძის ქ. #32–ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, არსებული მშენებარე შენობის ფასადზე თქვენს კუთვნილ აივანზე გათბობის ქვაბის კარადისა და კონდიციონერის გარე ბლოკის მოწყობის ნებართვას. პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია აღნიშნულის განხორციელება, თუმცა გამოვლინდა სხვა სახის ხარვეზები:

1.არასწორად არის თქვენს მიერ არჩეული ნომენკლატურა, კერძოდ ნომენკლატურაში "კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა", ქმედება –"კორექტირების" ნაცვლად უნდა აირჩიოთ "კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა", ქმედება "რეკონსტრუქცია", სადაც შესავსები აღარ იქნება "სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურების ან შეთანხმებული პროექტის ან მშენებლობის ნებართვის ბრძანების რეკვიზიტები"–ს ველში დოკუმენტის ნომერი და დოკუმენტის თარიღი.
2. საკადასტრო ერთეულის დამატებაში, საკადასტრო კოდში მიუთითეთ სარეკონსტრუქციო თქვენი კუთვნილი ფართის მთლიანი საკადასტრო კოდი, წილობრივი მონაცემებით ან „ფაილის მიმაგრების“ ველში აიტვირთოს ფართის კუთვნილების დამადასტურებელი საბუთი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
3. „ფოტომონტაჟი“–ს ველში უნდა აიტვირთოს განახლებული კარგი ხარისხის ფოტომონტაჟი, სადაც გათბობის ქვაბის კარადასთან ერთად, ასევე გამოჩნდება კონდიციონერის გარე ბლოკი. (გაითვალისწინეთ, რომ კონდიციონერი უნდა განატავსოთ ისე, რომ ნაკლებად თვალსაჩინო იყოს და არ დაირღვეს შენობის ერთიანი იერსახე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.